ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 3 აგვისტო 1924 წ.

წელიწად მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი მეომარი

564

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებებ ი მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათმდე

თანამესოფლეობა.

ვენი სოფელი ჩამორჩენილია ყო- მხრივ. მას არა ყავს საკუთარი ები, რომელთაც შეეძლოს უშუა- თ გაუწიონ დახმარება ამა თუ საჭირბოროტო საერთო საკითხის აწყვეტაში.

იდი უმრავლესობა წერა-კითხვის ადინარია. ბევრმა არ იცის სა- ო საქმეზე ვის, და სად უნდა რთოს. ესეც რომ არ იყოს, ხი მიჯაჭულია მიწაზე. ერთი ი, ერთი საათი მას მამა- ლად უღირს.

ვენ გადავსწყვიტეთ სოფლის და- ება მის ეკონომიურ და კულ- ურულ დარგში აღორძინებით.

მ მიზნის მიხწევა ჩვენ გვსურდა აქის და სოფლის მუშის, გლეხი- და წითელი არმიის მჭიდრო შე- მირებით.

მისათვის იყო და არის დღესაც, ასე თუ ისე საწარმოვო დარ- მუშები, ამა თუ იმ ნაწილის წი- ი არმიელები, იღებენ და აღე- იც აქვთ შეფობა სოფლებზე.

მ მხრივ ჩვენ ბევრ კარგ შედეგს ღწიეთ.

ოფლის ბნელ ოჯახში შევიტა- ლამპარი კულტურის და განა- ების.

მ მიზნის მისაღწევად საჭირო მიმოსვლა საშეფოდ ამყვანე- ა და შეფად აყვანილს შორის. აგრამ შეფობა ვერ ამოსწურავს ა იმ საჭირბოროტო საკითხებს, ლებიც დღიურ პროგრამში წა- რილია გლეხის ცხოვრებაში.

მირია, რომ გლეხს ქალაქად საქმე .

ნ არ იცის ქუჩები და დაწესე- ებები. ორი სამი დღე მხოლოდ სებულებების და ქუჩების ძებ- მოუნდება. მერე საგზალიც შე- ლევა და ქე მოქუსლავს შინისა- ცარიელ-ტარიელი.

აქ მას დახმარება ერთრამედ უღირს.

გარდა ასეთი მაგალითებისა არის მრავალი, სხვა თვითონ სოფლის შინაურ ცხოვრებაში, რომელიც მცოდნე პირის აზრს და უნარს მოითხოვს.

აი, სწორედ ასეთმა გარემოებამ წამოაყენა ახალი საკითხი, საკითხი თანამესოფლეობისა.

რაში გამოიხატება ის?

შეფობა გამოიხატებოდა იმაში, რომ წითელ არმიის ნაწილი იყვანდა საშეფოთ რომელიმე სოფელს და ზრუნავდა მის კეთილდღეობაზე.

თანამესოფლეობა სულ სხვა ეაიდაზე არის აგებული.

აქ ერთეული კი არ ზრუნავს სოფელზე, არამედ ამ სოფლის ნამდვილი მკვიდრი, რომელმაც თავის თანამესოფლის გვარი და სახელი თავის ხუთი თითივით იცის. მაშასადამე, იცის თავის სოფლის ჭირვარამიც.

ქალაქად სხვა და სხვა მდგომარეობის გამო ბევრი მოიპოვება სოფლიდან წამოსული. აი ამ სოფლიდან ჩამოსულებმა უნდა შექმნან ერთი მთლიანი ერთეული.

მას ევალება წინამძღოლობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს თავის სოფელს.

დაეხმაროს მას ყველა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში და მუდამ ჟამს ზრუნავდეს თავის სოფლის ვითარებაზე, თანამესოფლეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლებისათვის.

ამიტომ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე, შევკავშირდეთ და შეერთებული ძალით ვეცადოთ შეუმსუბუქოთ სოფლის მშრომელ მასას დღიური ჭირ-ვარამი.

ომის ინვალიდების უზრუნველ საყოფად.

საქართველოს ს. ს. რ. ყველა მშრომელებს.

ათი წლის წინეთ მსოფლიო ბურჟუაზიის მიერ დაწყებულმა სისხლის მღვრელმა ხოცვა-ჟლეტამ, რომელმაც მოჰფინა ბრძოლის ველები მილიონობით მუშებისა და გლეხების გვამებით სისხლიანი კვალი დასტოვა მის შემდეგ საქართველოშიც— მრავალ ათასობით დასახიჩრებულ მეომართა სახით.

საქართველოს მშრომელთა მტკიცე და შეურყეველმა ბრძოლამ, რომელიც მიმართული იყო კაპიტალის უღლისგან შრომის განთავისუფლებისაკენ, მსოფლიო რეაქციის გაერთიანებული ძალებისა და მენშევიკების შოვინისტური ავანტიურის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაამრავლა ამ უბედურ ინვალიდების რაოდენობა. ნორმალურ შრომის საშვალებას მოწყვეტილნი, უფეხოები, უხელოები და ბრმები, გონებრივად და ფსიქიურად დაზიანებულები, დამშეულები, შიშველ-ტიტველნი, თავშესაფარს მოკლებულნი, —ყველა ეს ინვალიდები იძულებული არიან მძიმე ტვირთათ დააწვენ სახელმწიფოს და ან დაჰკარგონ კლასობრივი და მუშური შეგნება—და დადგენ მათხოვრობის გზაზე. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დიდი ხანია გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აქვს დღევანდელ პირობებში ომის ინვალიდთა სავსებით უზრუნველყოფის საკითხს.

ამ მიზნით საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოაწყოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ომის ინვალიდთა და მათი ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი.

ეს კომიტეტი მიზნათ ისახავს,— სხვადასხვა სახის ინვალიდთა დაწესებულებების მოწყობის გზით, შექმნას საუკეთესო ფორმები და გზები ინვალიდთა უზრუნველყოფისათვის. მხოლოდ ამ გზით დაუბრუნდება ინვალიდი თავის მშობლიურ მშრომელთა ოჯახს, ხოლო პროლეტარიატი შეინარჩუნებს მშრომელთა კლასის არა ერთს მტკიცე და ერთგულ წევრს.

საბჭოთა რუსეთში ასეთი ორგანიზაცია უკვე არსებობს და მან თავისი პრაქტიკით დაამტკიცა, რომ აუცილებელია ინვალიდთა დახმარების საქმეში საზოგადოების ფართო მასების ჩაბმა.

საწარმოვო სახელოსნოები, სადაც თვით ინვალიდები მუშაობენ, და ინვალიდთა სახლები, სანატორიუმები, სამხედრო საავადმყოფოები, ინვალიდთა კოოპერატიული ორგანიზაციები, ინვალიდთა საპროტეზო საქმის სისწორით დაყენება, —აი მუშაობა, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა რუსეთში უკვე არსებული კომიტეტები იმისათვის, რომ დაუბრუნონ ინვალიდები შრომას.

ინვალიდთა უზრუნველყოფის ასეთი ფორმა არ შეიძლება დამყარებულ იქნეს შემთხვევით შემოწირულებებზე და გამოსაღებებზე.

ის მოითხოვს მუდმივი ბიუჯეტის შექმნას, მტკიცე და სისტემატიურ დახმარებას.

თვითეული მშრომელი უნდა გახდეს ინვალიდთა დახმარების სრულიად საქართველოს კომიტეტის წევრი—გადამხდელი. მნიშვნელოვანია არა თანხის რაოდენობა, არამედ ის, რომ თვითეულ შეგნებულ მოქალაქეს, შეძლების მიხედვით, თავისი წვლილი შეაქვს ანვალიდთა დახმარების საქმეში. ამით ის არა თუ იხდის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას ინვალიდების მიმართ, არამედ აკეთებს გაცილებით უფრო მეტ საქმეს. თვითეული კაპეიკი, რომელსაც ის გაიღებს ამ მიზნით, —იქნება ამავე დროს ურყევი ქვა იმ გრანდიოზულ შენობაში, რომელიც ჩვენ უნდა ავაშენოთ ჩვენი **დაუვიწყარი ბელადის** ნათელი ხსოვნის გულისათვის.

ნუ დავივიწყებთ ცნობილ სიტყვებს, რომელიც ეკუთვნის ამხ. კრუპსკაიას: „თქვენს მწუხარებას ილიჩის დაკარგვის გამო ნუ გადაიტანთ მისი პიროვნებისათვის გარეგნულ პატივისცემაზე. ნუ აგებთ მის ძეგლებს, მისი სახელობის სასახლეებს და ნუ მართავთ დიდ ზეიმებს მისი ხსოვნისათვის. გახსოვდეთ. რომ აურაცხელია სიღარიბე და მოუწყობილობა ჩვენს ქვეყანაში.“

თვითეული მოქალაქე ინვალიდთა დახმარების საქმეს უნდა სთვლიდეს თავის პირდაპირ მოვალეობათ. აქეთკენ მოუწოდებს საქართველოს მუშებს, გლეხებს და ყველა მშრომელებს სრულიად საქართველოს **ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.**

ს. ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე:

მიხა ცხაკაია.

მდივანი: საბაშვილი.

პარიზის კომუნის დროშა ლენინის საფლავზე

-ლ. აგვისტოს მავზოლეიში, სა- მარხია ლენინი დიდის ზეიმით მოიტანეს 1871 წლის პარიზის უნის დროშა, რომელიც გადას- საფრანგეთის კომუნისტებმა მო- ვის მუშებს.

ეიმში მონაწილეობას იღებდენ კოვის ფაბრიკა-ქარხნების დელე- ები, რიცხვით 10,000—დე კა-

დროშა მოათავსეს ლენინის საფლავზე. შემდეგ ლენინის აკლდამა ინახულეს მუშათა და სამხედრო დელეგაციების წარმომადგენლებმა.

ლენინის ნეშტი მოათავსეს ხის ახალ კუბოში. სახეს შენახული აქვს ყველა დამახასიათებელი თვისებები ლენინისა.

2 აგვისტოდან დაიწყება ორგანიზაციული მოსვლა ფაბრიკა-ქარხნების მუშებისა ლენინის აკლდამაზე.

უცხოეთის პირველი ელჩი

1 ივლისს კარახანმა ჩააბარა თის რესპუბლიკის პრეზიდენტს სი რწმუნების ზარათი. ჩინეთის ემონიის დეპარტამენტმა გამოიმუშავა რთული და საზეიმო პროცედურა უცხოეთის ელჩის მისალებად ჩინეთის პრეზიდენტის მიერ. (ჩინეთი დღემდის ითვლებოდა მეორე ხარისხოვან სახელმწიფოდ. ევროპის სახელმწიფოები ნიშნავდენ პეკინში არა ელჩებს, არამედ მეორე ხარისხის დიპლომატებს—რწმუნებულებს.)

კარახანი როცა შევიდა სასახლეში ორკესტრმა შესრულა ინტერნაციონალი და ნაციონალური ჰიმნი.

პრეზიდენტმა მიიღო კარახანიდან ბარათები და გამოსთქვა იმედი, რომ შემდეგში უფრო განმტკიცდება მეგობრული განწყობილება ორივე რესპუბლიკებს შორისო.

კარახანმა საპასუხოდ განაცხადა, როს ის გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა მეგობრობის განმტკიცებისათვის ამ ორ სახელმწიფოს შორის.

შემდეგ პრეზიდენტმა მოიკითხა ამხ. კალინინი.

ცერემონიის შემდეგ კარახანმა გააცნო საელჩოს ყველა წევრები.

ცერემონიამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ხალხმა გააცილა კარახანი ბინამდი, ხოლო ჟურნალისტები იღებდენ ფოტოგრაფიულ სურათებს.

პოლონეთი.

საყოველთაო გაფიცვები.

ზემო სილეზიაშ თანდათან იზრდება საყოველთაო გაფიცვები.

გრაბსკის მთავრობის მდგომარეობა შერყეულია.

გაიხსნა პოლონეთის სეიმის სასწრაფო სესია. სხდომა ორი დღე გაგრძელდება.

პეპეესმა სასწრაფო შეკითხვა შეიტანა 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ ზემო სილეზიაში.

ახლად შედგენილი გრაბსკის მთავრობას პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ისე უყურებენ, როგორც დროებით მთავრობას, რომელიც იარსებებს მხოლოდ სეიმის საშემოდგომო სესიის დასაწყისამდი. მაშინ კი შედგენილ იქნება ახალი მთავრობაო.

პეპეესის კავშირმა ჩაშალა გაფიცვები

პომირიანებში დამთავრდა მოჯამაგირეთა გაფიცვები. პეპესოველთა პროფკავშირებმა დაამარცხეს მუშები, რომლებმაც შესწყვიტეს გაფიცვები.

პეპესოველთა კავშირს მიენდო შემდეგი მოლაპარაკება მოჯამაგირეთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

მოკავშირეთა კონფერენცია

გერმანიის მიწვევა.

„ხუთეულის კომისიამ“ (ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია) გადასწყვიტა 2 აგვისტოს გაუგზავნოს გერმანიას კონფერენციაზე მოწვევის ბარათი. ორშაბათს დაიწყება მოლაპარაკება გერმანიის დელეგატებთან.

ერიოს განცხადება.

ერიომ განაცხადა, რომ, როგორც კი მივა ლონდონში გერმანიის დელეგაცია, ის საჩქაროდ შევა მათთან კონტაქტში.

მაკდონალდის ცნობა.

ლონდონიდან მიღებულ ცნობით, მაკდონალდი ორშაბათს მოხსენებას გააკეთებს თემთა პალატაში კონფერენციის შესახებ.

იტალიის წინადადება.

„პტი ჟურნალის“ ცნობით, ერიოს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა იტალიის ექსპერტთან, რომელმაც ვითომდა წინადადება შეიტანა, რათა შეტანილ იქნას არსებითი ცვლილებები საფრანგეთის ახალ წინადადებაში რურის ევაკუაციის შესახებ.

მესამე კომისიამ, რომელიც არჩევდა საკითხს ფულით გადასახადისა და ნატურით გარიგებების შესახებ, უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა.

კომისიის მოხსენება მოხდება სამ ივლისს კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.

ფიქრობენ, რომ კონფერენცია დღესვე გაარჩევს აგრეთვე საკითხს პირველი კომისიის მოხსენების შესახებ.

სარეპარაციო კომისიების სხდომები.

გუშინ სარეპარაციო კომისიამ გაარჩია პროექტი გერმანიის ოქროს საემისიო ბანკისა სამრეწველო ობლიგაციების გამოშვების საკითხი.

„ევაკუაცია“.

„პტიპარიზიენის“ ცნობით ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს კელნის ზონის ევაკუაციის შემდეგ დასტოვოს რეინლანდში ზოგიერთ ჯარის ნაწილები.

როგორც იუწყებიან, ინგლისმა წინადადება შეიტანა კობლენცის ოკუპაციის შესახებ.

საფრანგეთმა წინადადება შეიტანა, ვითომდა, კელნის დაკავების შესახებ, რომელიც მოთავსებულია რეინის მარჯვენა მხარეზე სტრასბურგის პირდაპირ.

საფრანგეთის პრესა კონფერენციის შესახებ.

საფრანგეთის გაზეთების დიდი უმეტესობა ესალმება კონფერენციის მიერ მიღწეულ შედეგებს.

„ჟურნალ-“ი ამბობს, რომ ბოლოს და ბოლოს ერიომ დაარწმუნა ურწმუნოები თავის გულწრფელობაში.

„პტი—ჟურნალი“ სწერს, რომ საფრანგეთის დელეგაციის ქცევა კონფერენციაზე ამტკიცებს, რომ საფრანგეთს არ აქვს არავითარი დაპყრობითი ზრახვები. ის ილტვის განსაკუთრებით მშვიდობიანობისაკენ.

რადიო ყოველ მხრიდან.

ბრაზილია.

აჯანყებამ კვლავ იფეთქა.

ბრაზილიიდან მიღებულ ცნობით რევოლიუციონერები ხელახლად უტევენ მთავრობის ჯარებს სან-პაბლოს მიდამოებში.

ამავე ცნობას ამტკიცებს „ნიუიორკ-გერალდი“.

გენერალ ლოპეტი სცდილობს გავიდეს პორტო-ალეგრში ახალი მთავრობის შესადგენად.

ამერიკა-სპარსეთის უთანხმოება მოგვარებულია.

როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან სპარსეთსა და ამერიკის შორის უთანხმოება მოგვარებულ იქნა, ვინაიდან თეირანის მთავრობამ მისცა შეერთებულ შტატებს პირობა, რომ ის აასრულებს ვაშინგტონის მთავრობის ყოველივე სამართლიან მოთხოვნილებას.

პარტიზანული ომი.

როგორც სოფიიდან იუწყებიან საბერძნეთის მაკედონიაში მოხდა ბრძოლა საბერძნეთის ათასეულსა და ბულგარეთის ჯარის კაცებს შორის.

ჟორესის დიადი აჩრდილი.

კანონ-პროექტის განხილვის დროს ჟორესის ნეშტის პანთეონში გადმოტანის შესახებ, კომუნისტ რენე ჟაანი ბრალს სდებდა პარლამენტის უმეტესობას ჟორესის ხსოვნის მითვისების სურვილში.

რენო ადარებს ჟორესს ლენინს და ამბობს: „ჟორესი რომ ცოცხალი ყოფილიყო კომუნისტი იქნებოდა“-ო. სოციალისტებმა ამაზე პროტესტი განაცხადეს.

ლიდერ ბლიუმმა განაცხადა „ჟორესი ჩვენი ბელადი იყო და გვეკუთვნის ჩვენ, მაგრამ დღეს ჩვენ უთმობთ მას ერს“.

კანონ-პროექტი მიღებულ იქნა 346 ხმით 110 წინააღმდეგ.

იმავე დღეს კანონ პროექტი მიღებულ იქნა სენატის მიერ.

ინგლისი.

ინგლისის ხელისუფლების შენობა საფრთხეშია.

ლორდთა პალატაში დებატებზე ინდოეთის შესახებ ინდოეთის საქმეთა მინისტრის ყოფილმა ამხანაგმა გარისმა განაცხადა: „კატეგორიულად უნდა განუცხადოთ ინდოეთ-ს ერებს, რომ იმათ არ აქვთ თვითმართველობის უნარი. კერზონმა მოუწოდა მთავრობას მტკიცე პოლიტიკისაკენ და განუცხადა, რომ ინგლისის ხელის უფლების შენობა, რომელიც იგებოდა ინდოეთში უკანასკნელ ერთ ნახევარ საუკუნის განმავლობაში, დღეს საფრთხეში იმყოფებაო.

ვენერიული ავადმყოფობანი.

სიფილისი.

ვენერიულ ავადმყოფობათა შორის ერთ უსაშინელეს წარმოადგენს სიფილისი. იგი ძალიან გავრცელებულია, განსაკუთრებით რუსეთის ქალაქებში და სოფლებში. იქ ხანდისხან მთელი სოფლებია შეპყრობილი ამ სენით.

დასავლეთ ევროპაშიაც ის ძალიან გავრცელებულია. საფრანგეთის დედა-ქალაქში მოიპოება 700 კაცი ამ სენით ავადმყოფი. გერმანიაში, ბერლინში 100 მამაკაცზე ავად არის 20 და 100 ქალზე —15.

სიფილისი აავადმყოფებს ადამიანს და ბევრ შემთხვევაში წუთისოფელსაც ასალმებს. მხოლოდ ამას ვერ ვამჩნევთ ჩვენ, ე. ი. არ არის ლაპარაკი: აი ესა და ეს კაცი სიფილისმა მოკლაო.

სიფილისი მით უფრო საშიშია, რომ მის შეყრას ბევრ შემთხვევაში ვერც კი გაიგებს კაცი. ხშირია შემთხვევა რომ ადამიანს გამოურკვევია თავის უბედური მდგომარეობა ათითხუთმეტი წლის შემდეგ სწორედ მაშინ, როდესაც ავადმყოფობა, ასე ვსთქვათ, ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

მიზეზი ასეთი მოვლენის არის ის, რომ სიფილისის შეყრა ძალიან შეუმჩნევლად სწარმოებს. ის პირველ ხანებში, ან სულ არ იწვევს ტკივილებს ან ძალიან შეუმჩნეველს, სუსტს. ხშირია შემთხვევა, კაცი ექიმთან მივა. ექიმი გასინჯავს და სიფილისის ნიშნებს აღმოუჩენს. შეკითხვაზე: იყო თუ არა იგი ავად,—მტკიცე უარს აცხადებს ან იტყვის, რომ ამ რამოდენიმე წლის წინეთ პატარა მუწუკი მქონდა ასოზეო, ქერის მარცვლის ოდენაო.

სწორედ ეს ქერის მარცვლის ოდენა მუწუკია დამღუპველი.

სიფილისს, როგორც სხვა ავადმყოფობას, იწვევს განსაკუთრებული მიკრობი. მას უწოდებენ მკრთალ სპიროხეტას, ვინაიდან ფერად მკრთალია და დაკლაკნილი სახე აქვს.

ადამიანის სხეულში შეუძლია შეიჭრას ან გაფხაჭნილ, ან გაკაწრულ ადგილიდან.

როგორც კი ასეთ შესავალს იპოვის, იგი შევა სისხლში, დაიწყებს გამრავლებას და მთელ სხეულში გავრცელდება.

შეჭრა შეუძლია ან შეუღლების დროს ან და შეხებით ავადმყოფისა ან მის ნახმარ ნივთისა.

უფრო ხშირად, რასაკვირველია, შეუღლებით ვრცელდება. თუ მამაკაცი დარჩა სიფილისით ავადმყოფ დედაკაცთან, ან პირიქით, მაშინ ბევრ შემთხვევაში მოსალოდნელია დაავადმყოფება.

არა შეუღლების გზით ეს სენი ვრცელდება ჩვენი უვიცობის გამო. ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახში სიფილისით ავადმყოფია. კარგად მყოფნი მასთან ერთად სჭამენ, სვამენ; ხმარობენ იმ კოვზს, იმ ჭიქას, რომელსაც ავადმყოფი ხმარობს.

კოცნის დროსაც ადვილად შეუძლია გავრცელდეს. ადვილად ვრცელდება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ავადმყოფი ქალი ბავშვს ძუძუს აწოვებს. მას შეუძლია შეყაროს ამ ბავშვს, ბავშვი შეყრის საკუთარ დედას, დედა კი საკუთარ შვილს.

ხშირია შემთხვევა, როდესაც შეუგნებლად კაცი იღებს სხვის მიერ მოწეულ პაპიროზის ნამწვავს, ან ჩიბუხს, აქაც მოსალოდნელია ავად გახდომა.

წითელი არმიის ცხოვრებიდან, რომ ავიღოთ მაგალითი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე წითელ არმიელთაგანს დაემართა სამსახურის დროს ეს ავადმყოფობა. ვერ გაიგო, ან გაიგო და ვერ განიკურნა წავიდა სოფლად. შეირთო ცოლი. გადაადვა მას. მათგან შეუძლია, როგორც ქმრის, ისე ცოლის ნათესავებს გადაედოს, ნათესავიდან ნათესავს და ასე მთელ სოფელს მოედება.

რომელიმე წარმოებაშიაც ძალიან ადვილად ვრცელდება ის. წარმოვიდგინოთ: ჩექმების მკერავი ამხანაგობა. ვსთქვათ ერთი ამხანაგთაგანი ავადაა სიფილისით. ჩექმის კერვის დროს ხშირია შემთხვევა, მეჩექმე პირში იღებს ლურსმანს. ვსთქვათ უკანვე დასდო და იგივე ლურსმანი მეორემ აიღო. ამ რიგად ერთიდან მეორეზე გადავა სიფილისი.

მიუხედავად იმისა, რომ სიფილისი ძალიან ვრცელდება, კაცს შეუძლია იგი თავიდან აიცილოს თუ მიიღებს, ამისათვის საჭირო ზომებს.

ჩვენ ვსთქვით, რომ უმთავრესად ადამიანი სიფილისით ავად ხდება შეუღლების დროს; მაშასადამე, თუ ეს შეუღლება არ მოხდება, არ შეგეყრება სიფილისიც. ამისათვის კი საჭიროა თავი შევიკავოთ შეუღლებიდან. ბევრს გონია, რომ ეს საზარალოა.

მე კი გადაჭრით ვიტყვი, რომ თავის დაჭერა ათასჯერ უფრო უკეთესია, ვინემ ამ სენის შეყრა და დასნეულება.

უფრო ძნელია შეუღლების გარეშე შეყრის თავიდან აცილება. მაგრამ შეუძლებელი არც აქ არის რამ. ამისათვის საჭიროა მოისპოს წამ და უწუმ კოცნა, პირში აღება ნამწვის, სხვისი ჩიბუხის და საზოგადოთ უნდა გვახსოვდეს, რომ სიფილისით ბევრია ავად და თუ არ ვეცადეთ ვერიდოთ მათ შეხებას, ჩვენც სიფილისიანები შევიქნებით.

ჩვენ ზევით ავღნიშნეთ, რომ სიფილისი ვრცელდება მის გამომწვევ მიკრობის სხეულში შეჭრით. აქ 2—3 კვირის შემდეგ გაჩნდება გამაგრება, რომელიც თანდათან იზრდება, შემდეგ გადაეცლება კანი და გაჩნდება წყლული. ეს პირველადი სიფილისია. მას უწოდებენ მაგარ შანკირს. წყლული მაგარი შანკირისა ღრმა არ არის, მოწითალო ფერისაა. გვერდები და ფსკერი ისეთი სიმაგრის აქვს, როგორც ღრტილი.

ამიტომაც უწოდებენ მაგარს.

მაგარ შანკირს შეუძლია გაჩნდეს სხეულის ყველა ადგილზე. შანკირის გაჩენის მერე, ერთ კვირა ნახევარში დასივდება ახლომდებარე ჯირკვლები. თუ სუფთად მოუარეთ მას შეუძლიაა ადრექ გრეს.

თუ სათანადო ზომები არ იქნა თავიდან მიღებული, მაშინ 5—6 კვირის შემდეგ სხეულის სხვა და სხვა ადგილას გამოყრის წინწკლებით. ეს წინწკლები შეიძლება ბევრი იყოს, შეიძლება ეგზომ ცოტა, რომ ძლივს მოიპოვებოდეს. გამოყრის დროს დიდ უმრავლეს შემთხვევებში ავადმყოფი თავს ცუდათ გრძნობს: ამცივნებს, თავი სტკივა, ძვლებს ამტვრევს. განსაკუთრებით ცუდ გუნებაზეა ღამ-ღამობით. ხანდისხან წინწკლების სახე არ აქვს გამონაყარს. იგი გავს ბუშტულებს. გამოყრა სიფილისმა იცის პირშიდაც, ყელში. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს ხმა უხრინწიანდება. ხშირია სიფილისის ნიშნები გამონაყარის სახით უკანა ტანზე, ქალებს ძუძუებ ქვეშ, იღლიაში და სხვა. წამლობის შემდეგ ეს ნიშნები ქრებიან. შეიძლება გაქრეს უწამლოდაც, მაგრამ შემდეგ კვლავ იჩენს თავს.

აი ამ დროს, ე. ი. როდესაც ასეთი გამონაყარი იჩენს თავს, მეორე საფეხური ქვია.

შემდეგ ამისა დადგება მესამედი საფეხური.

ეს ხასიათდება ნიგვზის კაკლის ოდენი ზომის სიმსივნეებით, (გუმებს) რომლებიც ზედმიწევნით ტკივილებს იწვევენ. თუ პირველადი და მეორადი საფეხური ძალიან საშიშია მეზობლებისთვის, სამაგიეროდ მესამე საფეხური უფრო და განსაკუთრებით საშიშია თვით ავადმყოფისათვის. ამ საფეხურში გაჩენილი მიემები რბილდებიან, იხრწნებიან და მოურჩენელ წყლულებად იქცევიან. გუმებს შეუძლიათ გაჩნდენ ყველგან: ძვალში, ღვიძლში, გულში, ზურგის ტვინში, თავის ტვინში და სხვა. ყველაზე უფრო საშიშარია ზურგისა და თავის ტვინის გუმები, ვინაიდან ერთიცა და მეორეც იწვევს დამბლის დაცემას. თავის ტვინის, რასაკვირველია, უფრო საშიშია რადგან იგი იწვევს ე. წ. პროგრესიულ დამბლას, ადამიანი ირყევა ჭკუაზე, კარგავს გრძნობას და ისე განუტევებს სულს.

მორჩენა სიფილისის შეიძლება. მხოლოდ ამისთვის უნდა მიმართოთ ექიმს და არა სოფლის მატყუარებს, რომლებიც აუცილებლად სიკვდილს გაგიმზადებენ. გარდა ამისა საჭიროა დროზე შეიტყო სიფილისის გაჩენა და დროზე მიმართო ექიმს. მხედველობაში უნდა იქონიო ისიც, რომ სიფილისს დიდი ხნობით უნდა რჩენა, ამიტომ საჭიროა მოთმინება.

თუ ექიმს დროზე მიმართა ორი სამი თვე დასჭირდება მორჩენას, რასაკვირველია, თუ მუყაითად იქნა ავადმყოფიც და ექიმიც გამოცდილი ეყოლა.

თუ ექიმის დარიგებანი არ შეასრულეთ, მაშინ ტყუილია ყოველი შრომა.

ჩვენი
წითელი
კარი

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ბანაკად მყოფ მეორე დივიზიის აწილებს 22 ივლისს პოლიტ-განოფილებიდან ესტუმრენ სასკოლო ექციის უფროსი და ინსტრუქორი.

23-ში რევიზია გაუკეთეს დივიიის სკოლებს და იმავე დღეს საამოს შესდგა მეოთხე, მეხუთე და ექვსე ლეგიონების მასწავლებელთა ერთო კრება.

კრებას დაესწრენ სამივე ლეგიოების სამხკომები და სკოლის გამგეები.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითები: გაერთიანებული მუშაობა ყვეა ლეგიონების სკოლებში, ექსურსიების მოწყობა, წერა კითხვის ცირე მცოდნეებთან მეცადინეობა, ოლიტხელებისათვის სემინარის გახნა და სხვა. ზემო დასახელებულ კითხებზე მოხსენება გააკეთა საკოლო სექციის უფროსმა მესხმა.

მან აღნიშნა, რომ გაერთიანებუი მეცადინეობის მიზნით სამივე ლეგიონების მასწავლებლები უნდა კრიბებოდენ კვირაში ერჯერ და კოლების გამგეების ხელმძღვანეობით არჩევდენ საგნების სწავლეს მეთოდსო.

სხდომები საჭიროა ხდებოდეს ლეგ. სამხკორების, ბიურო—კოლექტივების და კლუბის გამგეების თანდასწრებით.

სკოლის გამგეებმა მთელი ზაფხულის განმავლობაში თითო სანიმუშო გაკვეთილები უნდა მისცენ ქართულში და ანგარიშში, რომელიც უნდა გაარჩიოს გაერთიანებულმა კრებამ.

ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული იმ განსხვავებით რომ გაერთიანებული კრებები ხდებოდეს ორ კვირაში ერთხელ.

აქვე იქნა დადგენილი ექსკურსიების აუცილებლობის შესახებ, ხოლო ექსკურსიების გეგმა წინასწარ უნდა წარედგინოს ლეგ. სამხკომს.

მცირემ ცოდნეთა მეცადინეობის შესახებ კრებამ შეუძლებლებლათ სცნო ბანაკში ყოფნის დროს მათი მეცადინეობა.

კრებამ დაადგინა აგრეთვე დრო გამოშვებით იკითხებოდეს ლექციები ბიურო კოლექტივის თემებზე, ხოლო პოლიტხელთა სემინარის გახსნა კი მიენდო სამხკომს.

მატიანე.

არის შემთხვევა, როდესაც ავადოფი დადის ექიმთან ერთ ხანათ, მდეგ მოსწყინდება სიარული, დაწმუნებს თავს, რომ ეხლა კარგად რო და სიარულს მიატოვებს. ასეთ ბიჯის გადადგმას ხელს უწყობს ლმე ტკივილების ნიშნების დარგვს ეს არ არის სწორი. ნიშნეს დაკარგვა არ ნიშნავს განკურს.

ამიტომ ის პირი, ვინც სიფილით იყო შეპყრობილი 2—3 თვის ნმავლობაში ყოველთვის უნდა ვენოს ექიმს. ექიმს შეუძლია გაიკვლიოს კარგად არის იგი თუ დ.

შეიძლება თუ არა სიფილისიანი მოეკიდოს ოჯახს?

ამ საკითხის გადაჭრა ადვილი არ ის. საქმე ის არის, რომ სიფილისი ადის ჩამომავლობაზე. სიფილინ ცოლს ან ქმარს ჯერ თამეუღლის დასნეულება შეუია და მერე თავის ჩამომავლოა.

სიფილისიან ქალს მუცელი ხშიდ მოწყდება ხოლმე. თუ შერჩაცელი და ბავშვი ეყოლა, იშვიათი თხვევაა, რომ რამოდენიმე წლის დეგ ბავშს სიფილისი არ გამოეს. გარდა ამისა ბავშვი ისედაც ტი და ნაღრიბალოა.

მიტომ მან, ვისაც სიფილისი სჭირდა ოჯახობა უნდა უეჭველად, ი წელი მაინც უნდა მოიცადოს კურნის შემდეგ, ეჩვენოს სპეციექიმს და თუ უკანასკნელმა ნედართო უნდა მოკიდოს ოჯახს ი და თუ არა, მაშინ არავითარ თხვევაში არ უნდა დაოჯ.ხდეს.

პ. პ ძე.

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲜᲪ. ᲛᲔᲗ. ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

სკოლის ბანაკი მოთავსებულია მშვენიერ ბუნების წიაღში. კარგი ჰაერი, კარგი წყალი (რკინის და წყაროს), მხოლოდ სან ნაწილი ვერ მოეწყო კარვების უქონლობის გამო. აფთიაქი მოთავსებულია კერძო ბინაზე.

თუმცა ავადმყოფები ისინჯებიან ცალკე მოწყობილ კარავში, მაგრამ არ არის კარავი კარანტინისათვის რაც აუცილებელია. აგრეთვე დიდათ აფერხებს საქმეს ქვეყნებში სინათლის უქონლობა, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

გვაკლია ზოგიერთი წამლები, მაგალითად ზეთი, ინგლისის მარილი, იოდი და სხვა. სხვა კი საკმაოთ მოიპოება.

არ გვყავს აგრეთვე კბილის ექიმი.

ავადმყოფებს შესაფერი ყურადღება ექცევა ყოველ დღიური დახმარების სახით. მძიმე გადამდებ ავადმყოფობას ადგილი არ ქონია. მძიმე ავადმყოფები იგზავნებიან ბანაკის საერთო ქსენონში, რომელიც კარგადაა მოწყობილი.

დიეტის გასაუმჯობესებლათ ჩამოსვლისთანავე ამხ. ორჯონიკიძემ 400 მანეთი გადასდვა. ქსენონში ეტევა 50 ავადმყოფი.

სკოლის მთელი შემადგენლობა ყველაფრით კმაყოფილია, მხოლოდ უნდა მიექცეს ყურადღება საცვლების სუფთად რეცხვას და აბანოს.

ჯერჯერობით ვსარგებლობთ იმ აბანოთი, რომელიც ეკუთნის „ვუზებს“, მაგრამ ეს მოუხერხებლია, საჭიროა შეკეთდეს ჩვენს გვერდით არსებული აბანო, რომ შორს სიარული არ დაგვჭირდეს. საერთოდ კურსანტები ბანაკში ჯანმრთელად არიან.

სანიტსათსა და ჰიგიენას დათმობილი აქვს კვირაში ერთი საათი დილის 7—8-დე.

მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურათ, მაგრამ ექიმს მეცადინეობა მთელ სკოლასთან ერთად უხდება, რის გამოც ვერ აღწევს თავის დანიშნულებას. საჭიროა მეორე საათის მიმატება, რომ ყველა ასეულებმა ცალ-ცალკე იმეცადინოს.

ე. ცომაია.

---

1 ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

რამოდენიმე ხნის დუმილის შემდეგ ჩვენც ავმოქმედდით; ივლისის ბოლო რიცხვებიდან ჩვენს ლაზარეთში დაიწყო საკლუბო კულტურულ-რული მუშაობა.

დაარსდა შემდეგი წრეები: პოლიტი კურ-ლიტერატურული. დრამატიული, საერთო განათლების და სხვა..

ამხ. იპ. კუპუხიძის რედაქტორობით გამოვიდა კედლის გაზეთი „წითელი სანიტარი“-ს № 1 და № 2.

მეორე ნომერი უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

განზრახულია ლიტერატურულ ერთდროული ჟურნალი „გრიგალის“ გამოცემა.

იმპერიალისტურ ომის ათი წლის თავზე ჩვენს კლუბში მოეწყო მოხსენება და წარმოდგენა.

წარმოდგენა კარგად იქნა ჩატარებული.

იმპ. ომის ათი წლის თავის გამო მოხსენება გააკეთა.

ამხ. ლაბაძემ რუსულ და ქართულ ენაზე.

მიღებული იქმნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია.

„მოვისმინეთ რა ამხ. ლაბაძის მოხსენება იმპერიალისტური ომის ათი წლის გამო, ჩვენ 1-ლ ქართულ დივიზიის ლაზარეთის მთელი შემადგენლობა ზიზღს უცხადებთ მსოფლიო ყაჩაღებს და მზათ ვიქნებით იარაღით ხელში შევებრძოლოთ ახალ ომს.

ძირს იმპერიალისტური ომი!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას“.

იქაური.

ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

1 აგვისტოს მოხდა 1-ლ დივიზიის პოლიტ—განყოფილების კომუჯრედის მორიგი კრება. დაესწრენ წევრების უმრავლესობა და აგრეთვე უპარტიონიც. სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის დღის წესრიგში დასმული იყო მსოფლიო ომის ათი წლის თავის შესახებაც.

მოხსენებას აკეთებს ამხ. გედევანიშვილი, რომელმაც შემზარავი სურათებით გადმოშალა მსოფლიო ომის საშინელება. მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო.

იყო შეკითხვებიც.

სათანადო რეზოლიუციის გამომუშავება მიენდო უჯრედის ბიუროს.

კრებამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და ამხანაგს დაავალა ასეთივე შინაარსის მოხსენების გაკეთება 5 აგვისტოსათვის წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში, სადაც დაესწრებიან ყველა სამხედრო ნაწილები და სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურენი.

გარდა გედევანიშვილისა ამავე დღეს მოხსენებას გააკეთებს აღნიშნულ კლუბში „რემედას“ მნიშვნელობაზე ამხ, ჩანტლაძე.

ამ საქმის მოგვარება უჯრედმა მიანდო ამხ. იმნაიშვილს.

დავლომი.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲐᲜᲢᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

(სურათები.)

1 აგვისტო.

შუა დღე.

ისმის ქარხნების საშაბაშო საყვირები და... მზით დამწვარი თბილისი გუგუნებს.

ქუჩებმა აიყარეს ფაფარი...

მუსიკის ჰანგები გადაეკლაკნენ სიცხისაგან ოშხივარ ადენილ ქალაქის თაღს. მოაფრიალებენ მზის კოცნაში დამწვარ დროშებს.

რუსთაველის პროსპექტის განიერი კალთები ვერ იტევენ ქალაქის ყოველ უბნიდან ნიაღვარათ მოდენილ რკინის რიგებს.

აქაა ყველა:

მუშები, მუშა ქალები, მოსამსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, პაპანაქებაში კანდამწვარი ნორჩი რიგები სპარტაკელებისა და... საბჭოთა ხელისუფლების სიამაყე—წითელი ლაშქარი.

მუსიკა. სიმღერა. მუქარა.

პლაკატები:

„ძირს იმპერიალისტური ომი! ძირს ყვითელი ინტერნაციონალი! გაუმარჯოს კომინტერნს! გაუმარჯოს მშვიდობიანობას! თუ გინდა მშვიდობიანობა—შეამჭიდროვე მუშათა და წითელ არმიელთა რიგები! „სიკვდილი მსოფლიო ბურჟუაზიას და ფაშიზმს!—გაუმარჯოს კომუნიზმს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!“

„მსოფლიო ომის ათი წლის თავზე ჩვენ ვეტყვით ევროპის მუშათა ჯალათებს—ახლოვდება თქვენი აღსასრული“—და სხვა მრავალი.

პლაკატები: პუანკარე, მაკდონალდი, კაუცკი და სხვა ლიდერები მეორე ინტერნაციონალის ფაბრიკიდან, ნიკოლოზი II, მღდელ მონაზონი, ბურჟუაზია—ყველა გამასხრებული. მათი შეხედვა ყველას დაუსრულებელ სიცილსა ჰგვრის.

აი მოჭქრის ავტომობილი ბავშვებით, რომელნიც ამაყად გაჰკივიან ომის საწინააღმდეგო სიტყვებს.

მეორე ავტომობილი—ინვალიდებით, რომელთაც ყველაზე უფრო შეშვენით ომის წინააღმდეგ ხმის ამაღლება, რადგან იქ დაჰკარგეს მათ ხელი, ფეხი და ახალგაზრდობა.

ისინი მღერიან და ამ სიმღერაში მოისმის საშინელი მუქარა.

მესამე ავტომობილი—ზედ ტაჰკავირით, რომელსაც მიერეკება კინტო. შიგა სხედან: ვრანგელი, გერმანელი და სხვა ფაშისტები, მეორე ინტერნაციონალი, ბურჟუაზიის ლაქიები, მღვდლები, მეფეები და სხვა. მათ მრისხანებით წამოსდგომიან მათი მესაფლავენი: მუშა, გლეხი და წითელ არმიელი. მაყურებელთა სიხარულს საზღვარი არა აქვს. კინტო კი მიერეკება მხიარულად ძველ ნაგავს.

საათის სამამდის მოდის და მოდის მჭიდრო რიგები—წითელ დროშებით, რომლებსაც ამშვენებდენ უდიადესი კომუნარების და პროლეტარიატის მასწავლებლებისა მარქსის, ლენინის, ენგელსის, ტროცკის და სხვათა სურათები.

დღეს მსოფლიო იმპერიალისტური ომის ათი წლის თავია, გამოფხიზლებული მშრომელი ხალხი—კომპარტიის საყვირზე უპასუხებს:

— მზადა ვართ ვიბრძოლოთ მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ და დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება.

ძირს ომი—გაუმარჯოს მშვიდობიანობას!

დღეს თბილისი, როგორ ყოველთვის, ყალყზე ამდგარა და მრისხანებით გაჰყურებს იმპერიალისტურ ქვეყნებს თავისი ცეცხლის მფრქვევ თვალებით...

თბილისი პროტესტანტი...

სანი.

ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ.

ათი წლის წინეთ, შავი ღრუბელი
გადაეფარა მსოფლიოს სივრცეს.
ათი წლის წინედ გავარდა მეხი
და ხალხი მსხვერპლად ომის ღმერთს მისცეს!

კაპიტალიზმმა დიდხანს ნაგუბი
შხამი და გესლი გადაანთხია,
მთელი ქვეყანა—დიდ სასაკლაოდ
და ერთ სისხლის ზღვად გადააქცია;

ვინ გაიქლიტა ომის ფერხულში
ათი წლის წინ, რომ გავარდა მეხი?—
მილიონობით დაეცა ველად
მხოლოდ მშრომელი მუშა და გლეხი!

შენ, არმიელო! იცი რომ დღესაც
იქ ომის ღმერთი ილესავს კბილებს?—
სისხლის ნადიმი რომ გაუმართოს
თავისუფლების მტრებმა შრომის შვილებს!

მაშ მედგრად იდექ საგუშაგოზე—
გაასალკლდევე ამაყი ნება;
არავითარი ძალით,—რაც იყო—
მისი კვლავ ხილვა აღარ იქნება!

თანაც ეცადე, რომ ყველა მშრომელს
გააგებინო დიდი მცნება:
ძალა მშრომელთა ერთობაშია,
რაც მოკვდა, ის კვლავ არ გაცოცხლდება;

ამცნე მშრომელებს, მყვლეფელთ ომების
მხარს დამჭერის დიდი ღალატი,
ვინც იბრძვის ერთად მუქთა ხორებთან,
რომ მშრომელების არის ჯალათი!

ის თვით გაუთხრის თავის თავს საფლავს,
რომ გზა დაუთმოს ქვეყანას ახალს
ძვირფას კომუნის ლამაზ სიმბოლოს:
წითელსა დროშას და ჩაქუჩ-ნამგალს!..

დ. ხახძე.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო და მზვერავ გუნდის კომუჯრედში.

27 ივლისს, შესდგა საკავშირო და მზვერავ გუნდის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ უპარტიო წითელ არმიელებიც.

დღის წესრიგში იყო სხვა საკითხებთა შორის საჰაერო ფლოტის კვირეულის შესახებაც.

მოხსენებას აკეთებს ამხ. გეგელია. ის მკაფიოდ აშუქებს საჰაერო ფლოტის მნიშვნელობას.

მოხსენება ნაჩქარევი დავალებით იყო გაკეთებული.

დასასრულს მან მოუწოდა ყველას დაეხმარონ საჰაერო ფლოტის გაძლიერებაში საბჭოთა ხელისუფლებას.

იყო შეკითხვები, რომლებზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა მომხსენებელმა, რის შემდეგ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სხვა საკითხების ამოწურვის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

პარტკორი: ა. მუქერია.

ბიბლიოგრაფია.

კომუნისტური ინტერნაციონალი

ტ. „მნათობი“. 1924 წელი.

გვ. 155.

ეს წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს კლუბის მუშაკებისთვის. საამისო წიგნებითა და მასალებით, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ ნაბიჯზე გვჭირდება ძალიან ღარიბი ვართ.

ზემოხსენებული შრომა, წარმოადგენს კრებულს, სადაც პირველი ნაწილი ეთმობა პოლიტცოდნას. ეს განყოფილება უსათუოდ საყურადღებოა კლუბის მომუშავეთათვის საერთო ცოდნის მისაღებათ, რაიც აუცილებლობას წარმოადგენს. მეორე. ლიტერატურულ განყოფილებაში მოთავსებულია საგიტაციოსაპროპაგანდო ხასიათის პიესები, ნათარგმნი რუსულიდან, მაგრამ არც ერთი პიესის მოქმედება არ სწარმოებს საბჭოთა ტერიტორიაზე.

1 პიესა:-„ჩვენ კვლავ მოვალთ“, 2 მოქმედებათ. პიესა კარგი ნათარგმნია და ცოცხლათ დადგმული უსათუოდ შთაბეჭდილებას დატოვებს წითელ-არმიელებზე.

2 პიესა-„ხაფანგი“ ლაზარევისა, 1 მოქმედებათ. სუსტი ნათარგმნია, სიუჟეტი კარგია.

3, აქ ჩამოთვლილ პიესებს გაცილებით წინ უსწრებს ცოცხალი სურათებით და შინაარსით პიესა;-„დაჭრის აჩრდილი ევროპაში“ სამ მოქმედებათ: პროლოგითა და ეპილოგით. ნათარგმნია დამაკმაყოფილებლათ. საერთოთ, ჩვენს ღარიბ სასცენო ლიტერატურას, რომლის სინაკლულე განსაკუთრებით სამხედრო კლუბებში უფრო საგრძნობია, ეს პიესა ნაწილობრივად ავსებს. ამის დადგმა სამხედრო ნაწილებში, მე მგონია, დიდ შთაბეჭდილებას დასტოვებს მაყურებელზე და რევოლიუციონურ აღტყინებასაც გამოიწვევს

საერთოთ, წიგნი უსათუოთ მისაღებია და ჩვენი სურვილი იქნება, ასეთი კრებულების ხშირათ მოწოდება-უფრო შერჩეულ მასალით და რამოდენიმეთ მაინც ორიგინალურ პიესებით.

წიგნში გვხდება კორექტურული შეცდომები-ეს საერთო სენი ჩვენი გამომცემლობისა. წიგნი გარეგნულათ სუფთა და ლამაზია.

გრიან.

მეხუთე ლეგიონის 3 წლის არსებობის დღესასწაულზე.

22 ივლისს, ჩვენმა ლეგიონმა დიდი ზეიმით იდღესასწაულა თავისი არსებობის სამი წლის თავი.

21, საღამოს, ქალაქის თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო ადგილობრივ ნაწილებიდან მოპატიჟებული სტუმრები.

ლეგიონის დრამ-წრემ გამართა წარმოდგენა.

22 ივლისი საუცხოვო მზიანი დღეა. ლეგიონში არა ჩვეულებრივი სიხალისეა. ყველას სახე უღიმის.

ბანაკში გაკრულია შესაფერი სადღესასწაულო ხასიათის ლოზუნგები, გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის საგანგებო ნომერი, მოწყობილია არკა.

დღის 11 საათზე მეორე დივიზიის ყველა ნაწილები თავს იყრიან გაშლილ მინდორში.

საზეიმო კრება გახსნა ამხ. ბარამიძემ.

სიტყვებით გამოვიდენ პირველი დივიზიის უფროსი ამხ. ს. ლექვთაძე, მეორე დივიზიის უფროსი ნ. ენუქიძე, ქუთაისის აღმასკომის სახელით ამხ. დევდარიანი, ბანაკში მდგომ ყველა ნაციონალურ კურსანტთა სკოლების წარმომადგენლები და სხვა.

კრების შემდეგ ჩვენი ლეგიონის სპორტიულმა წრემ მოაწყო გამოსვლები, რაც მწყობრად იქნა ჩატარებული.

2 საათზე ლეგიონის მთელი შემადგენლობა მიეშურება ქალაქის „მიწის მუშის“ სასადილოში.

სადილზე მიპატიჟებული იყვნენ, როგორც სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებიდანაც.

სრულ 3 საათზე მივიღეთ ჩვენზე მოძღვნილი გაზეთ „წითელ არმიელის“ ნომერი. გაზეთი გვილოცავდა დღესასწაულს.

დღესასწაული შესაფერისად იქნა ჩატარებული, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია მომწყობი კომისია.

მატიანე.

წერილები სოფლიდან.

მოსავალი შორაპნის მაზრაში.

შორაპნის მაზრაში,—სადაც ითესება უმთავრესად სიმინდი—არას დროს არ ყოფილა განთქმული მოსავალი, მაგრამ წელს განსაკუთრებით ძლიერ შეაშინა ადგილობრივი გლეხობა გვალვამ და მცირე მოსავლის მიღების იმედიც კი დაკარგეს.

ყანების დათესვა თითქმის ყველამ მოასწრო და დაუთესელი ადგილები არსად დარჩენილა, მაგრამ პირველ ხანებში გვალვამ ერთობ ცუდი დღე დააყენა ნათესს. მდგომარეობა უნუგეშო იყო.

მაგრამ სამი კვირის წინად რამოდენიმეჯერ მოვიდა წვიმა და მდგომარეობა გამოაკეთა.

სიმინდის და ღვინის მოსავალი წელს შორაპნის მაზრაში გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე გასულ წელში, თუ ერთხელ კიდევ მოვიდა წვიმა სიმინდის დატაროების დროს.

ეხლა აქაური გლეხობა იმედიანი თვალით გაჰყურებს თავის ნაოფლარს, რომელსაც მეტად კარგი პირი უჩანს.

დონხი.

≡მეცნიერება და ტექნიკა≡

უმავთულო ტელეფონი და ტანკები შეერთებულ შტატებში.

ეგრედ წოდებულ ლენდის ბანაკში, რომელიც ტანკების უმთავრესი თავშესაყრელი ცენტრია, მოახდინეს უმავთულო ტელეგრაფისა და ტელეფონის გამოცდა. ცდები მეტად ნაყოფიერად დამთავრდა.

გამოშვებულ ტალღების სიგრძე იცვლებოდა 350 მეტრიდან 750 მეტრამდე.

ტელეფონის საშვალებით შესაძლებელი შეიქნა ტანკიდან—ტანკამდე 15 ვერსის და შტაბთან 45 კილომეტრის მანძილზე კავშირის დაჭერა.

პრინციპიალურად გამორკვეულია შემდეგი ხუთი სახის კავშირი.

ტანკიდან—1) ქვეითა დივიზიის შტაბამდე, 2) ქვეითა ჯარის ბრძოლის ხაზზე, 3) ქვეითა ბათალიონის შტაბთან, 4) ტანკების ბათალიონის შტაბთან, 5) ტანკებს შორის.

ახალი საჰაერო კრეისერი.

ახალი ამერიკული საჰაერო კრეისერის დამზადება უკვე თავდება. კრეისერი მზადდება გერმანიაში, ფრიდრიხსგაფენში.

აღნიშნული დირიჟაბლი წარმოადგენს ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას. გარეგნულად ის წააგავს ცეპელინს. მისი სიგრძე უდრის 600 ფუტს სიმაღლე—93 ფ.

ივსება 2.400.000 კუბიკური ფ. გაზით. იწონის 41 ტონს. კიდევ შეუძლია აიტანოს ჰაერში 41 ტონი საწვავი მასალა, ეკიპაჟი, მგზავრები, ხაბაკი და საომარი იარაღი.

მისი მექანიზმი სრულიად ახალი ტიპისაა, რომლის სიჩქარე საათში უდრის 100 კილომეტრს.

ახალი გელიკოპტორი.

ინგლისიდან იტყობინებიან, რომ იქ აუშენებიათ ახალი გელიკოპტორი, ე. ი. ისეთი მანქანა, რომელსაც შეუძლია პირდაპირ—შვეული ხაზით აფრენა ჰაერში. ეს დიდი სამხედრო უპირატესობაა. ინგლისური კონსტრუქციის დეტალები ჯერ-ჯერობით საიდუმლოებით არის მოცული.

გელიკოპტიორის იდეა არა ერთხელ აღელვებდა სხვა ქვეყნებსაც, მაგრამ აქამდე მისი გამოყენება ვერ შესძლეს.

რამოდენიმეჯერ სცადეს საფრანგეთში გელიკოპტიორით პირდაპირ აფრენა, მაგრამ ყოველთვის მარცხით თავდებოდა. ინგლისში ასეთი კონსტრუქციის ჰაეროპლანის აგება ძალიან ადვილი შესაძლებელი იყო.

პასუხის პასუხი პირველი ლეგიონის საექიმო ,პერსონალს

გაზ. „წითელ არმიელის“ № 550-ში მოთავსებულია პირველი ლეგიონის ექიმ-ფერშლების კოლექტიური პასუხი ჩემს წერილზე: „სანიტარული მდგომარეობა პირველ ლეგიონში“, სადაც მე ვამხილე ექიმ ფერშლები მათ დაუდევრობაში ლეგიონის ყაზარმაში ყოფნის დროს.

ოდნავად მაინც აბათილებს ჩემს ბრალდებებს მოქ. ექიმ ფერშლების პასუხი?

სრულიადაც არა.

პირველი მათი პასუხი: „ახალწვეულების მოსვლისა და ახალი ლეგიონის შედგენის გამო, მოხდა საექიმო პერსონალის გადაჯგუფება და ცოტანი ვიყავით ლეგიონშიო“.

მე დაგიმტკიცებთ, ვისთანაც გინდათ, რომ ექიმ-ფერშლების რიცხვი ჩვენთან ყოველთვის საკმაო იყო, მაგრამ აკლდათ სათანადო მონდომება და აქედან შედეგათ მივიღეთ სანიტარული უწესრიგობა.

მეორე. „ვენერიული ავადმყოფობით დასნეულებულნი გადაგზავნილი იქნენ ამბულატორიაშიო“.

ეს სიცრუეა.

მოქალაქე ექიმ-ფერშლებს ავიწყდებათ მესამე ასეული, სადაც დღესაც იმყოფებიან ვენერიული ავადმყოფებით დასნეულებულნი და აქამდე თუ არა, დროა ეხლა მაინც მიიღოთ ზომები.

მესამე. თქვენ აცხადებთ, სისტემატიურად დავიარებოდით ასეულებში და ვკითხულობდით სანიტ-ლექციებს, აქედან ლეგიონშიც ცხადია დავიარებოდითო.

ესეც აშკარა სიცრუეა.

მართალია, ჩემი წერილის შემდეგ გამოიფხიკეთ ყურები, მაგრამ მანამდე ნაკლებათ გაინტერესებდათ ლეგიონში შემოხედვა, ცხადია ასეულებშიც არ იქნებოდით და სანიტ-ლექციებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

სანიტ-ლექციებს ეხლაც იშვიათად კითხულობთ. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მესამე ასეულის მაგალითი, სადაც ერთი თვის განმავლობაში, ერთის მეტად არ წაგიკითხავთ ლექცია, განა ეს საკმარისია? განა ამით ამოსწურეთ ყველაფერი?

რაც შეეხება სხვა თქვენს პასუხს—არც ერთი სიმართლეს არ შეეფერება. ყველა ის დეფექტები, რომლებიც მე ავღნიშნე ჩემს წერილში სიმართლეს შეიცავს და, თუ გნებავთ, მე ამას დაგიმტკიცებთ ცოცხალი ფაქტებით და ამას მიმოწმებს 700 კაცი.

მოქ. ექიმ-ფერშლებო, ნუ თუ ისიც ტყუილია, რომ სადეზინფექციო კამერაში არსებულ უსუფთაობის გამო ოქმი შეაყენა შემთხვევით იქ მყოფმა გატაცებულ ნივთების საქმისთვის დანიშნულმა კომისიამ.

ნუ თუ ისიც ტყუილია, რომ ზოგიერთი წითელ არმიელები აგერ ერთი თვეა დადიან თქვენთან და არ გზავნით არც საავადმყოფოში და არც სამხედრო წყობილებაში გადიან? რას მივაწეროთ ყველა ეს და რა არის ამის მიზეზი? აუცილებლად თქვენი უყურადღებობა.

ჩემი წერილის და ბანაკში გადმოსვლის შემდეგ ბევრი დეფექტები იქნა გამოსწორებული, მაგრამ ეს არ კმარა. დარჩენილია კიდევ ბევრი.

მიაქციეთ ყურადღება, გამოასწორეთ ყველა და თქვენ ეს უფრო შეგიმსუბუქებთ დანაშაულს, ხოლო გაზეთის ფურცლებზე ცრუ თავის მართლება ვერ გიშველით, რადგან ფაქტები თვითონ იჩენენ თავს.

სანი იმნაიშვილი.

ახალი ამბები.

— **სამხ. ტრიბუნალში.** 5 აგვისტოსთვის სამხ. ტრიბუნალში გაირჩევა ცხენ. ლეგიონის წითელ არმიელის არტემ ჩიტაიშვილის საქმე, ბრალდება თანამდებობითი ბოროტმოქმედება და სიყალბე.

— **სესიის დაბრუნება.** 2 აგვისტოს სურამიდან დაბრუნდა სამხ. ტრიბუნალის სესია, რომელმაც სურამში გაარჩია ხუთი საქმე.

— **შუამდგომლობის აღძვრა.** სოც. უზრ. კომისარიატმა და საქ. გლეხკომების ცენტ. ბიურომ, შუამდგომლობით მიმართეს სამხ. საინჟინერო დისტანციას მიანდონ ჩიბათის გლეხკომს 8.400 კუბ. საჟ შეშის დამზადება.

— **სახლების აშენება გორში.** ვინაიდან ამ უკანასკნელად გახშირდა გორში უგეგმოთ სახლების აშენება, სამაზრო აღმასკომმა აღკრძალა ნებადაურთველათ და უგეგმოთ სახლების აშენება.

— **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილება შეუდგა რაიონებში წერა-კითხვის უცოდინართა სიების შედგენას 17—35 წლამდე.

— **ხიდი რიონზე.** სოფ. ბუგეულში (ქვემო რაჭა) დაასრულეს მდ. რიონზე დიდი ხიდის აგება.

— **ბრძოლა ლოთობასთან.** გორის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ლოთობასთან ბრძოლის მიზნით.

— **სკოლის აშენება მეჯვრის ხევში.** სოფ. მეჯვრის ხევში 9 წლიანი სკოლის შენობის ასაგებათ, გორის სამაზრო აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

— **ჯამაგირის მომატება რკ. გზებზე.** 1-ლი აგვისტოდან ა. კ. რკინის გზებზე მოუმატებენ ჯამაგირებს 1-ლი კატეგორიიდან მექვსე კატეგორიამდე.

— **ცირკის შეკეთება.** ქალ. აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილება შეუდგა ცირკის (ვერის ხიდთან) საფუძვლიან შეკეთებას.

— **აგარაკ უწერაზე.** რაჭის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით აგარაკ უწერაზე ეწყობა საექიმო პუნქტი ღარიბ მოაგარაკეთათვის.

— **გლეხკომი აწყობს მიმოსვლას.** ზუგდიდის გლეხკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ავტომობილი ზუგდიდ-სენაკს შორის სისტემატიური მიმოსვლის მოსაწყობათ.

დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.